







მცენარია წარმოგვეიდგება ბუნებით მშვენიერი, მცხოვრებლები არიან ქართველები, სულით მაღალი, გონებით მახეოლი, აგებულებით ძლიერი, თვისებით მხნე, მოძრავი და ამისათანა ღირსების ხალხი დაუჭირავს მომავა-დავს ხალხს, სულით მდაბალს, ღონე გამო-ლეულს და გონებით დაშრეტილს. საითოან მომხდარია ამნაირი საკეირველება? — მცითონ ამ მხრის ქართველების შინაგანი უთანხმო-ებისა და ბრძოლის, მეშურნეობისგამო. შესანიშნავია ის მიზეზი, რომლის გამო ისმალებს ასე ადეილათ გაუთარებიათ ქართველები. აცტორის აზრით, მთელს ის-მალეთის საქართველოში 79,988 სულია; ამათში 72,026 ქართველია; ყოფილა სულ 511 სოფელი, 60 უმაღლესი საწავლებელი და 378 სახალხო შკოლები. აი, ამ სას. წავლებლებში გატარებულია მთელი ისმა-ლეთის ქართველების შთამოება და ამ შკო-ლებს გაუთარებიათ ისინი. მაშასადამე როგორც ხალხოსნობის დამფუძნებელი, ისე იმის-ძირის მომთხრელი, გადამგვარე ბელი ყოფილან საწავლებლები. მს მაგა-ლითი ჩენი მკითხველებისთვის ძალიან ჩა-მაფიქრებელია. აქ ცხადათ შეხედავს ყოვე-ლი ჩევნგანი, თუ რასში უნდა მდგომარეო-ბდეს ჩევნი ხალხის მომავალი ბედის წერა და რა უნდა იყოს იმის ხალხოსნობის საძირ-კელი. მაგრამ ვფიქრობთ კი ამაზე? ზადა-ველე, მკითხველო, თვალი ამის მხრით შენს ქვეყნას და შეიტყობ; თუ რა იქნება იმისი მოლოდ.

მესამე თავი წერტილებით უნდა იკითხო...  
მეოთხე თავი შეიცავს სიყვარულის განხილვას, ცოლ-ქმრობის უწესო დამოკიდებულების სურათს და სიყვარულის მიუხედომლობას. აქ ცხადათ დაინახათ, თუ კაცი, ეს მძლავრი პირუტყვი, როგორ ძალას ატანს ნაზს ქალის ბუნებას. მაცი ეუბნება ქალს, მე შენ შეგიყვარე და შენ კი შადლობელი არა ხარო; შენ ამისთვის რატომ ჩემი საკუთარი ნივთი, ჩემი გოშია, ჩემი ცხოველური მოთხოვნილების იარაღათ არ გახდებიო; რატომ სულ არ დაგვიწყნა შენი პიროვნება, შენი ბუნება, შენი კაცური ღირსება და ჩემს სურათს თაყვანს არა სცემო. რატომ განსაკუთრებით ჩემთვის არა ცხოვრობ და შენს საკუთარს თავზე როგორ ბედავ ფიქრსაო?

აი, ამგვარს ძალის დატანებას და კაცის  
ღირსების ფეხქვეშ გათქერას მოაქვს დიდი  
უბედურება კაცობრიობის ცხოვრებაში და  
იმის ცოლქმრივითს, დამოკიდებულებაშიო.  
ამ აზრის გამოთქმაში ავტორი აჩენს ღრმა  
პაიხოლოგიურს დაკვირვებას, რომლის ბა-  
დალსაც ჩვენს ლიტერატურაში ვერ ვპო-  
ვებთ.

„სხევათა-შორის ის“ მეშვიდე თავითვის იწყება საზღვარს გარეთელი ამბები. პვტორს უმგზავრნია საშინელის ომის შემდეგ საფრანგეთსა და ბერძნების შუა. იმას უნახავს ყოველივე გაოხრებული, ბალწალკოტათ გადაქცეული ქვეყანა—აკლებული და აფორიაქებული, ქალაქები—დაქცეული, ხალხი—გაცარცული და უნუგეში მდგომარეობაში ჩავარდნილი. იმას გაუვლია მლზასში, რომელსაც თავს დაატყდა მთელი ომის ცეცხლი და ქარიშხალი. ვინ გამოხატავს იმ მწუხარებას, იმ შაეს დაღვრებილს სახეს ხალხისას, რომელიც მოუწყვეტიათ თავის დედა-კეყნითვან და მტერს წაუყვანია ტყვეთ. მთელს ქვეყანას გლოვის ზარი დაძინის, ხალხი შაეით არის შემოსილი. მრას ელზა-

სელს შეცვარებულს ქალ-ვაჟს მოუწიდომე-  
ბიათ ჯვარის დაწერა და ამისთვის ბელ-  
ფორს (საფრანგეთში) მიღიოდენ საქორწი-  
ლოთ, რაღაც სამშობლოზე მიღლოვიარე  
ქვეყანას ქორწილი არ შეშვენისო. მრთმა  
მამულის მოყვარე მოხუცმაო, ამბობს აკტო-  
რი, რა რომ დაატყო ვკვდებიო, ითხოვა  
ბელფორს წასელა, რომ იქ თავის უწინდელს  
სამშობლოში ამოხდენოდა სული. პი, გა-  
საოცებელი მაგალითები მამულის მოყვა-  
რეობისა. პიდევ უფრო გასაკვირველი აქ  
ის არის, რომ მლზასი ამ ორი საუკუნის  
წინათ ბერმანის ქვეყანათ ითვლებოდა.  
შემდევ დაიპყრო ის საფრანგეთმა და მთე-  
ლი ერთი საუკუნე ელზასის ხალხმა იბრძო-  
ლა თავის სამშობლოსთვის საფრანგეთის  
წინაამდევ. მაგრამ საფრანგეთში მოხდა რე-  
ვოლუცია, ხალხმა იშოვნა თავისუფლება,  
რესპუბლიკური გამგეობა. შვეეკის საქმე,  
მაზრის საქმეები, თავის სოფლის საქმეები  
ერთის სიტყვით ყველაფრი ხალხს და  
ხალხისგან ამორჩეულს კაცებს ჰქონდათ  
სელში. თეითონ ხალხი შეიქნა თავის ქვეყ-  
ნის პატრონი და თავის-თავის მზრუნველი.  
ამ გარემოებამ ყოველ კაცს დაუმკიდრა  
ბელნიერება, დაჩაგრული წელში გაიმართა,  
შეძლებულმა დამჩაგრელმა წოდებამაც გა-  
რემოების ძალით ისწავლა კაცის ფასი, შე-  
მოვიდა თანასწორობა, ერთმანეთის პატი-  
ვისცემა და საზოგადოების დამაგვირგვინე-  
ბელი სამართალი. შეელა ეს პოლიტიკური  
და სოციალური უფლებები, დიდი რევოლუცი

კიით ნაშოენი, საფრანგეთის ხალხმა გაუზიარა ელზასელებსაც, აღადგინა ხალხი ძევლითგანვე დაჩაგრული ზერმანის მტარეალურის წესისაგან. მლზასელებმაც ულრმესი მაღლობა შესწირეს პოლიტიკურ მონებისა-გან გამოხსნელ ხალხს მითი, რომ გაულეს თავის გული, შესწირეს თავის გონება და ძალა მძურს მეგობრობას, შეიქმნა ფრან-ცუზებზე უფრო გულ მხურვალე პატრიოტები. საფრანგეთი არ ცდილობდა, არც გერმანიის ენის მოსაპობას მლზასში, არც იმის ჩვეულებების გაუქმებას არც, ძევლითგანვე

მოკულ გონების საუნჯის ამოფხერას. ის კი  
არა, ს.ფრანგეთი მუდამ ცდილობდა ელზა-  
სელების თავისებური ცხოვრების გამავრც-  
ბას და მის გაუმჯობესობას. პი, როთი მიი-  
თვისა საფრანგეთშა ელზასელების გული-  
მს მაგალითი მართლაც რომ შესანიშნავია-  
და წასაძარეათ უნდა დარჩეს სხვა სახელ-  
მწიფოებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ ხელ-  
ში უცხო ტომის ხალხები. პაგვარის გა-  
მოკვლევის შემდეგ ავტორი შეუდგება გერ-  
მანიის და საფრანგეთის ხალხის თვისებების  
გამოკვლევას და შედარებას. ამ შესანიშნავ  
შედარებაში ცხადათ ჩიდება, რომ საფრან

სებით ბევრათ მაღლა დგას გერმანიის ხალხ  
ზე. საფრანგეთის ხალხი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა  
ში ხშირათ აღმოაჩენს ხოლმე რამე დიდ  
ქვეყნიურს კანონს, რომლითაც მეცნიერება  
წინ წასწევს და ამით ადიდებს საკუთარს დ  
სხვა ხალხების კეთილმდგომარეობას, პო  
ლიტიკურს მოძრაობაში ის მუდა  
იბრძეის კაცობრიობის სიმართლისათვის  
სოციალურსა და ეკონომიკურ  
მოძრაობაში ის მუდამ აჩვენებს ქვეყ  
ნიერობას კეთილმდგომარეობის მაგალით  
ზერმანიის ხალხი როგორც განათლება  
ში, ისე პოლიტიკურსა და სოციალურ  
ცხოვრებაში იკვლევს ხანგრძლივი შრომი  
წვრილმანს ჭეშმარიტებებს. ის აწყობს დ  
ალაგებს მხოლოდ იმას, რაც საფრანგეთი

ხალხს მოუშენია. ზერმანის ხალხი ამ მოშენილს, დიდს საქვეცინო ჰეშმარიტებებს დაწერილებითი გამოკვლევით უფრო აგანიერებს მხოლოდ თავის სასარგებლოთ. ამ შემთხვევაში საფრანგეთის ხალხი არის მუდამ კაცუბრიობის მოთავე, წინაშეაღლი ჰექა-ქუნილით, შეიარაღებული ხმლითა და ნამგლით, რომ ქვეყნიურ კეთილ-მდგომარეობის ყანები მომკის, განუაღლი უგნურების ტყეები გაკაფოს, ჭაობები დაშროს, რომ ამით დანარჩენ კაცობრიობასაც გაუადვილდეს ცხოვრება; გერმანის ხალხი კი ამ მომკილა და გაკაფულს მინდვრებზე მორთავს ხოლმე თავის კეთილ-მდგომარეობას, ამშეენირებს, რაც მომკილი და გაკაფულია, რომ უკელაზე უწინ თვითონ დასტუბეს ამ მშეენირებით. ამ სახით კაცობრიობაში საფრანგეთის ხალხი ავტორს გამოჰყავს ხალხების გმირათ, რომელიც მუდამ წინ მიუძღვის დანარჩენს ქვეყანას, და იადვილებს და უადვილებს მძიმე ცხოვრებას. ზერმანის ხალხი კი გამოჰყავს უბრალო ძუნწ კაცალ, რომელიც მხნეთ მისდევს უკან ზემოხსენებულს გმირს და პირებელათ თვითონ სარგებლობს იმის ქველ-მოქმედებით მოპოებულ ჰეშმარიტებებითა. ასედაგინხატა სხვათა შორის ის „ავტორშა თარი წარჩინებული ხალხის შნიშენელობა კაცობრიობაში და ამის შემდეგ თვითონ გამოიცან, მყითხველო, რომელი უმაღლესია იმათში.

პარიფის მდგომარეობას რომ აღწერს აკ-  
ტორი, ყველაზე უმაღლ აკტორის შორს-გამ-  
სჭრეტი გონება მიაქცევს, ყურადღებას მუ-  
შა ხალხის ცხოვრებას და იმის სოციალურ  
მდგომარეობას. მს მართლაც ისეთი საგანია,  
რომ მთელი პარიფის აწინდელი ცხოვრება  
ამ საგანზეა დაკავშირებული და ეს არის ძი-  
რითადი საგანი, რომლის განხილვით ღრმად  
გადმოიშლება მთელი პარიფის პოლიტიკუ-  
რი და სოციალური ცხოვრება. მაგრამ, ავ-  
ტორი აქ აჩქარებულა და, როგორც სჩანს,  
უფიქრია, მაინც და მაინც მალე უნდა გავა-  
თავო ჩემი წიგნით. ამის გამო ამას იქით  
სულ გაკვრითა აქვს ნაწერი.

ლუი-ბლანთან ბასით აეტორი გვაცნო-  
ბებს თვითონ ლუი-ბლანის აზრებს საზო-  
გადოთ, მაგრამ ჩვენთვის ეს კი არ იყო სა-  
ჭირო. თვითონ ლუი-ბლანის აზრები და  
მისი პოლიტიკური რწმუნება ჩვენ უფრო  
საფუძვლიანათ შეგვეძლო წაგვეკითხა იმის-  
ვე თხზულებებში და ეისაც სურს, კიდეც  
წაიკითხავს. ასე გასინჯე „დროებაც“ საკ-  
მაო მასალას მისცემს ამ საგანზე მკითხვე-  
ლებს. ჩვენთვის უფრო სხვა მხრით იქნე-  
ბოდა საინტერესო ლუი-ბლანის გაცნობა.  
იმისი შინაური ცხოვრება, კაცური თვისე-  
ბები, ჩეკულებები, მაგალითად იმის შინაუ-  
რული სურათი რომ აეშერა წვრილათ, და-  
ენახვებინა ის ჩვენთვის ხალათში და სხვ.  
ამავს ვერც ერთს სამწუხაროთ ვერ ვპო-  
ვებთ აეტორის თხზულებაში.

აი მოკლეთ „სხვათა შორის სი“ შინაარსია.  
როგორც მკითხველი მიხდება, ეს წიგნი  
ძალიან საინტერესო საკითხავი უნდა იყოს  
ჩვენ ქართველებისთვის.

მე დამრჩა მხოლოდ ორიოდე სიტყვით  
გამოვთქვა ჩემი შემცინება ავტორის ნიჭი  
შესახებ. არის ორგვარი ნიჭი: ერთი, რომელ  
ლიც უთი შეხედვით თითქოს გაპობს ყო  
ველავე, რასაც მოხედება იმის გონიერის  
თქალი და გამოიკვლევს უმთავრეს თვისე  
ბის, რომელზედაც არის აგებული რომელიმე  
არსება, ან რამე მოვლენა. მს ნიჭი ვისა  
ან რასაც მოავლებს თვალს, უკანასკნელ

ანჭელიდგან, ან ბუსუსითქმა დაწყებული  
ცის ბუნებამდის, უცბათ შეიტყობს იმის  
ინარსს და ერთი მარჯვე კალმის მოსმით  
აგიხატავს თვალწინ, რა არსებაც უნდა  
მის შინაარს, ჩაგახედებს ღრმათ ქმნილების  
მოვლენის გულში. შენ სტეპები ამ ში-  
არსის ცეკვით და წერილმანი გარემოება  
ულ გავიწყდება. შენ ხედავ არსების გულს,  
აგრამ ღრმათ კი ვერ იკვლევ იმის ვითა-  
ებას, ყოვლის მხრით ვერ დააფასებ იმის  
ირჩებას, ამისთვის რომ წერილმანი გარე-  
ოებები და საგნის თვისებები გაკლია: მე-  
ორე ნაირი ნიჭია, რომელიც შეხდავს თუ  
რა რამე არსებას, პირველად მაგდენს ვე-  
საფერს იტკობს, ის მხოლოდ უკვერდება  
ელნელა ამ არსებას, ჯერ შენიშვნავს იმის  
არშემო რაც რამე ლაქები და წინკლებია,  
ერე თანდათან ხედავს იმის კანს, ცილს  
და ბოლოს გულს არსებისას. ამგვარი ნი-  
ჭის თვალები თან-და-თან ნელ-ნელა აპა-  
რებენ თავის შუქს რომელსამე არსებას, თან-  
და-თან ნელ-ნელა ანათებენ იმის აგებუ-  
ლობას და რამდენათაც უფრო უყურებენ,  
იმდენათ ღრმათ და ცხადათ ნათლდება რომე-  
ლიმე საგნის ანუ მოვლენის სრული აგე-  
ბულება, სრული ვითარება, ერთი სიტყვით  
არული არსებობა. ამისთვის ნიჭის პატრო-  
ნი ყოველივე გარემოებებით, ყოველივე  
მტვერით და ბუსუსით სარგებლობს, რაც  
კი საგანს, ან მოვლენას ეკუთვნის ის ვა

უშინდება მასალის სიმრავლეს. იმს შეხსიე-  
რება ყოველსავე კარგათ დაიტევს თავში.  
მით უფრო სრული და ღრმა აზროვანი  
დება ამგვარი ნიჭის გამოკვლევა. მაგრავ  
თუ უნდა ამისთანა ნიჭმა რაიმე შესანიშნა-  
ვი ქმნილება დაბადოს, თუ უნდა რაიმე დი-  
დი და საშეილი-შვილო ნაყოფი გამოაღ-  
ძინოს თავის ნიჭს, არამც თუ თავის ქვეყ-  
ნისთვის, არამედ მთელი კაცობრიობისთვი-  
საც, არაოდეს ამისთანა ნიჭმა თავის თავი  
ნება არ უნდა 'მის'ცეს, რომ ბევრა საგანს  
შეეხოს ერთსა და იმავე დროს, ორი და  
სამი რაიმე მოვლენა განიხილოს ერთ დროს,  
აპიტომ რომ ის მაშინ ყოველს ცალკე მოვ-  
ლენას განსაკუთრებულს ყურადღებას. ვერ  
მიაქცევს, ვერ შეძლებს, რომ სრული ძა-  
ლით მოიხმაროს თავისი ღრმა შეხეითოდა-

ბა და ძიებითი თვისება. ჩემის აზრით „სხვა-  
თაშორის ის“ დამწერი ეკუთვნის ამ მეორე  
გვარის ნიჭის კაცებს და ამისგამო იმას და-  
ნაშაულობათაც ჩაეთვლება ასე ბევრის საგ-  
ნების განხილვა ერთ დროს, ამიტომ რომ  
ყოველს იმათვანს აკლია სრული შესწავლა,  
სრული ანალიზი, თუმცა მთელს თხზულე-  
ბაში არის გატარებული ღრმა მეძიებელის ბაჟ-  
რი კალამი. მე დარწმუნებული ვარ, ავტორი ყო-  
ველ იმ საგნებზე, რომელნიც „სხვათაშორის-  
ში“ არიან გამოკვლეულნი, დაწერდა ცალკე  
წიგნებს და ტომებს. მით უფრო შესანიშნავი  
და გავლენის მექანი იქნებოდა მაშინ მისი  
თხზულება. ამისთვის ჩვენ ურჩევთ უფ-  
სკანდალს, შემდეგში ბევრს ნუ მოედება  
ხოლმე, აიღოს ერთი რომელიმე საგანი და  
მის განხილვას მოანდომოს მთელი თავის  
გონების გამჭრიახობა. მაშინ ჩვენი ლიტე-  
რატურაც ელირსება უფრო დამუშავებულს  
და ლიტერატურის გამამდირებელს ქმნილე-  
ბებს. ზურჩევთ აგრეთვე ენის შემუშავება-  
საც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, თო-  
რებ, აქალი ახალი სტილი შემოიდიო, და  
სულ ეგრე თავ-აწყვეტაც და ენის უშე-  
რობაც არ ვარგა. მრთ სიტყით რაც იქმ-  
დის დაუწერია, ყოველსავე სკანდალის ქმნი-  
ლებას ეტყობა მოსწრავებული შრომა,  
თხზულების დაჩქარება და უმწიფარობა.